



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N 19**

ქ. ლანჩხუთი

27. 10. 2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსი გია ნაჭყებია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე, გამგეობის იურიდიული

სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, შ.პ.ს „GL“-ის დამფუძნებელი პავლე ორგველიძე (განცხადების საფუძველზე).

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ხელაძე იმყოფება შვებულებაში, ამიტომ სხდომას წარუძღვება თვითონ. ამის შემდეგ, ალექსანდრე სარიშვილს მიულოცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე არჩევა, ასევე თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა ყველა იმ დეპუტატს, რომლებიც მომავალი მოწვევის საკრებულოში გააგრძელებენ მუშაობას და უსურვა მათ შემდგომი წარმატებები. მან ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ორი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

3. „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ო. ჯანაძე/

5. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს დაეწერა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმდინარე წლის 1-ელ აგვისტოს N791 წერილი, რომელსაც თან ერთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ელგუჯა გვაზავას (2017 წლის 27 ივლისის) №243 წერილი, მუნიციპალიტეტში დევნილთა პრობლემებზე მომუშავე პასუხისმგებელი პირის საშტატო ერთეულის შემოღებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო ახორციელებს დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის და კომპაქტურად ჩასახლების პროგრამას, აგრეთვე ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. იმისათვის, რომ დევნილების პრობლემები მაქსიმალურად იქნას მიტანილი მთავრობამდე და მათაც ხელი მიუწვდებოდეთ სახელმწიფო სერვისებსა და სხვა, მათთვის განკუთვნილ სიკეთეებზე, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სპეციალური საშტატო ერთეულის არსებობა, რომელიც კონცენტრირებული იქნება უშუალოდ დევნილთა პრობლემების მოგვარებაზე. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს (2017 წლის 2 აგვისტოს N970 წერილი) მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხორციელდეს სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში ერთ-ერთი გამოთავისუფლებული თანამშრომლის მიერ და დაევალოს დევნილთა საკითხების მოგვარება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის რომ დევნილების პრობლემები მაქსიმალურად იქნას მიტანილი მთავრობამდე და მათაც ხელი მიუწვდებოდეთ სახელმწიფო სერვისებსა და სხვა მათთვის განკუთვნილ სიკეთეებზე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სპეციალური საშტატო ერთეულის არსებობა, რომელიც კონცენტრირებული იქნება უშუალოდ დევნილთა პრობლემების მოგვარებაზე. ამისათვის, სამსახურის სტრუქტურაში უნდა შევიდეს ცვლილება. კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში განათლებისა და კულტურის განყოფილების

წამყვანი სპეციალისტის შტატის შემცირების ხარჯზე ერთი წამყვანი სპეციალისტის შტატით გაიზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

სხდომას შემოუერთდა დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დააფიქსირა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია. ამასთან, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ პროექტი უკვე განიხილა. აქედან გამომდინარე, დეპუტატმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესთავაზა, რომ გადაიდოს წარმოდგენილი პროექტის განხილვა. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი და მომავალი მოწვევის საკრებულო ნოემბრის თვიდან შეუდგება საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. მუნიციპალიტეტის მერმა უნდა შექმნას ახალი სამტატო სტრუქტურა. დეპუტატის აზრით, წარმოდგენილი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დალოდება უფრო უმჯობესია, რათა ახალმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პროექტთან მიმართებაში დააფიქსიროს თავისი ხედვა და პოზიცია. პატივისცემას საჭიროებს მომავალი საკრებულო და მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი. მით უმეტეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ელგუჯა გვაზავას წერილში საუბარია დევნილთა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე, მაგრამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გურიის მასშტაბით ყველაზე ნაკლებია კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **ია ჩხაიძე** დაინტერესდა, მიზანშეწონილად მიაჩნია თუ არა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხის აუცილებლად დამტკიცება, რადგან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების მცირე რაოდენობის მიუხედავად, მათი პრობლემები მაქსიმალურად უნდა იქნას მიტანილი მთავრობამდე. მისი აზრით ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ძირითადად არის დევნილების 64 ოჯახი, რაც საერთო ჯამში შეადგენს 174 ადამიანს. მათ ძალიან ხშირად უხდებათ ქალაქ ქუთაისში ჩასვლა, რათა ისარგებლონ იმ სერვისებით, რასაც სახელმწიფო თავაზობს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** კიდევ ერთხელ განმარტა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წერილში საუბარია მთლიანად საქართველოს მასშტაბით და არა კონკრეტულად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში

დევნილთა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებზე. მით უმეტეს, რომ ასეთი მუნიციპალიტეტში არის მხოლოდ დევნილთა სამი ოჯახი.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარის, **ნონა მურვანიძის** აზრით, საკითხთან დაკავშირებით უნდა იქნას დადებითი გადაწყვეტილება მიღებული, რადგან დევნილები მომსახურების და საქმის წარმოების თვალსაზრისით აღმოჩნდნენ თანაბარ პირობებში მოსახლეობის სხვა კატეგორიებთან მიმართებაში, რათა მარტივად მიიღონ ის ინფორმაცია, რაც საჭიროა მათი სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად. მით უმეტეს, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ხორციელდება ადგილმონაცვლეობა საშტატო ნუსხაში, რომელიც არ გულისხმობს ახალი შტატის შემოღებას და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებას დამატებით სახელფასო სარგოს გამოყოფის ხარჯზე.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი (რომან ბიწაძე), კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1 დეპუტატმა (ომარ გოგიჩაიშვილი); მიღებულ იქნა დადგენილება N32 (27.10.2017)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის N1705 განკარგულებით 2017 წლის 15 აგვისტოს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე შემცირდა ხიდების რეაბილიტაცია, სულ 8452 ლარი. აქედან სახელმწიფო ფონდის ხარჯზე - 8029 ლარი, თანადაფინანსების ხარჯზე - 423 ლარი, რაც ასახული უნდა იქნას ბიუჯეტში. მიმდინარე წლის 27 სექტემბერს სამსახურს დაეწერა ა(ა)იპ „ლანჩხუთის ტექ-სერვისი“-ს N56 წერილი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების გარე განათებაში შექმნილ რთულ ვითარებას, ნათურებისა და სხვა მარაგი ნაწილების უკმარისობის გამო. სამსახურს მიზანშეწოლილად მიაჩნია, მდგომარეობის გამოსასწორებლად ა(ა)იპ „ლანჩხუთის ტექ-სერვისი“-ს გამოეყოს 13000 ლარი. აღნიშნული ხარჯის წყაროდ განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი სახსრების ნაშთი- 13000 ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის

საფუძველზე, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის 2000 ლარით შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 2000 ლარით. ასევე, „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის“ 960 ლარით შემცირების ხარჯზე, 960 ლარით გაიზარდოს „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა“. ამასთან, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომის N13 ოქმის საფუძველზე, აკეთისა და ჩიხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ძლიერი წვიმების შედეგად) დაზიანდა კერძო საცხოვრებელი სახლები, ვინაიდან სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად თანხები არ არის, მიზანშეწონილად ჩაითვალა, აღნიშნულ მოქალაქეებს გაეწიოთ ერთჯერადი დახმარებები, რისთვისაც დამატებით 4000 ლარით გაიზარდოს მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. დღეს შემოვიდა გოგონათა სარაგბო - საფეხბურთო სკოლიდან მოთხოვნა თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით. ამ სკოლასთან მიმართებაში მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული არანაირი დაფინანსება, არამედ მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯებს ანაზღაურებდა ფეხბურთის ფედერაცია. ამჟამად, ტურნირთან დაკავშირებით, რომელიც მთავრდება ნოემბრის თვეში, კვების ხარჯის დასაფარად სკოლას ესაჭიროება 1 500 ლარი. აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს ბიუჯეტში, რომლის დაფინანსების წყარო იქნება თავისუფალი ნაშთი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ზლაგიძემ** თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა ალექსანდრე სარიშვილსა და საკრებულოს მომავალ დეპუტატებს. უსურვა მათ შემდგომი წარმატებები მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში გაფუჭდა წყლის ტუმბო, რომლის ღირებულება შეადგენს 700 ლარს. რამდენჯემე იყო მოსახლეობის მხრიდან თხოვნა და ხელწერებიც შეგროვდა საკითხთან დაკავშირებით. დეპუტატმა მიმართა საკრებულოს, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას აღნიშნული 700 ლარის გამოყოფა, მით უმეტეს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პრობლემის მოგვარების კუთხით დაპირებები არაერთგზის იყო. დეპუტატის თქმით, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ასევე შესაცვლელია გარე განათების 55 ნათურა და ეს საკითხიც გასათვალისწინებელია ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების დროს.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა ამჟამად არსებული მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ გასათვალისწინებელია ნათურების ხარისხი, რასაც აუცილებლად უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ თხოვნით მიმართა სოფელ ჭანჭათის მკვიდრმა ოთარ ვადაჭკორიამ, რომელიც 2015 წლის გეოლოგიური დასკვნის მიხედვით ექვემდებარება ასახლებას. ოქტომბრის თვეში მოსული ნალექის შედეგად მას საერთოდ კატასტროფული

მდგომარეობა შეექმნა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ამ მოქალაქეს საჭირო თანხას ვერ აძლევს. დეპუტატი დაინტერესდა, რა პასუხი უნდა გაეცეს ოთარ ვადაჭკორიას შესაბამისი სამსახურების მიერ, ან ექვემდებარება თუ არა ქირავნობის პროგრამაში ჩასმას. ამასთან დაკავშირებით გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ ქირავნობის პროგრამის განხორციელება პრობლემა ნამდვილად არ იქნება.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ თხოვნით მიმართა სოფელ აკეთის მაცხოვრებლებმა -ინგა და ელიკო მათითაიშვილებმა. ისინი სხვადასხვა კომლს წარმოადგენენ. სტიქიის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაშია მათი საცხოვრებელი სახლ - კარი. დეპუტატმა თხოვნით მიმართა საკრებულოს და აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ იქნებ ადგილზე გაეცნონ არსებულ სიტუაციას, რათა მოხდეს მოქალაქეებისთვის შესაბამისი დახმარების გაწევა.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომებზე არაერთხელ განაცხადა სოფელ ჭყონაგორაში მცხოვრები ირინა ორმოცაძის პრობლემის შესახებ. ბოლო დროს განვითარებული სტიქიური მოვლენების შემდეგ კი ეს ოჯახი იმყოფება საშინელ კატასტროფულ მდგომარეობაში. ადგილზე იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი. დეპუტატმა თხოვნით მიმართა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ აღნიშნულ ოჯახს გაეწიოს სათანადო დახმარება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** თქმით, მისთვის ცნობილი ინფორმაციის მიხედვით საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი კომისია მუშაობს და მზადდება სათანადო მასალები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, **ბესიკ ტაბიძის** განცხადებით, საკრებულოს წინა სხდომაზე დეპუტატების მოთხოვნა იყო, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის ტექსერვისი“-თვის გამოყოფილი 23 000 ლარის მიზნობრივად გახარჯვასთან დაკავშირებით გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსს, გია ნაჭყებიას მათთვის მიეწოდებინა სათანადო ინფორმაცია.

გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსმა, **გია ნაჭყებია** აღნიშნა რომ, ა(ა)იპ „ლანჩხუთის ტექსერვისთან“ დაკავშირებით მიმდინარეობს აუდიტორული შემოწმება, რომელიც ჯერ არ არის დასრულებული, ამიტომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამსახურმა ჩაატარა ცალკე მოკვლევა. 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი აღნიშნულ ა(ა)იპ - ის გაეზარდა 23 000 ლარით, მათ შორის ცალკეული მუხლების მიხედვით ხარჯები ასე გადანაწილდა: შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება 5 825 ლარი, ოფისის ხარჯი - 3 118 ლარი, ტრანსპორტის ხარჯი - 11 057 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურეობის ხარჯი - 3 000 ლარი.

3 000 ლარით სოფ. გრიგოლეთში წყალმაშველებისთვის დაქირავებული იყო შენობა, გარე განათებისთვის დახარჯულია 12 167 ლარი, დარჩენილი თანხა 7 833 ლარით სოფლების წყალმომარაგების სისტემის შეკეთების სამუშაოებისთვის იქნა დახარჯული.

გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსის, გია ნაჭყებიას თქმით, დეპუტატების პოზიციიდან გამომდინარე, გადამოწმდა ყველა საბუთი. ყველა გადარიცხვა არის წესრიგში. სურვილისამებრ, აღნიშნული მასალები შეიძლება მიეწოდოს ნებისმიერ დეპუტატს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, როცა კეთდება ხარჯთაღრიცხვა, ა(ა)იპ-ის მიერ იქნება ეს, თუ კერძო და სახელმწიფო დაწესებულება, თავიდანვე უნდა იყოს ყველა ხარჯი გათვალისწინებული. ახლა გამოდის, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში განხორციელდა. ამასთან დაკავშირებით გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსმა, გია ნაჭყებიამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე კონკრეტული თანხის მითვისებას არ აქვს ადგილი, მაგრამ შემოწმება გრძელდება, რომლის დასრულების შემდეგ გაკეთდება სათანადო ანალიზი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N33 (27.10.2017)**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს და თვითმმართველობის მიერ მიღებულ სამართლებრივ - ადმინისტრაციულ ნორმატიულ აქტებზე სამართლებრივ ზედამხედველობას აწარმოებს პრემიერ - მინისტრი და მისი აპარატი. სწორედ მათ მიერ იქნა გამოთქმული შენიშვნები, რომ აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, არამედ ის უნდა მოგვარდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ბრძანებით. ამდენად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მიიღო სამართლებრივი დასკვნა. შემდგომში მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

მომხრე 19 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 დეპუტატმა(დ.ბურჭულაძე, ნ.მურვანიძე, ე.ჭიჭინაძე); მიღებულ იქნა განკარგულება N78 (27.10.2017)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **ომარ ჯანაძემ**. მან აღნიშნა, რომ პროექტში წარმოდგენილია საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, სოფელ შუხუთში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.05.48.016) სარგებლობის უფლებით გაცემის საკითხი, რომელიც აუდიტის მიერ შეფასებულია 72 371,80 ლარად. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 36-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით) გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასური და ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოსაზრებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ შუხუთში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ27.05.48.016) გაიცეს სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით და ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის (72 371,80 ლარი) 40%-ის - 28 948,72 ლარის ოდენობით. მან მიმართა დეპუტატებს, რომ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ძალიან დიდი ინტერესი, აქედან გამომდინარე, ის მზად არის თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებისდაგვარად გასცეს მათ მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი.

დეპუტატ, დარეჯან ბურჭულაძის თქმით, ძალიან აინტერესებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატის, აკაკი იმნაიშვილის მოსაზრება, რადგან ის სოფელ შუხუთის მკვიდრია და სხვებზე უკეთ იცის საკითხის ირგვლივ არსებული სიტუაცია.

დეპუტატ, აკაკი იმნაიშვილის თქმით, სრულად არ არის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული, რადგან წინა დღეებში გაიგო შექმნილი მდგომარეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია მიაწოდოს ის ინფორმაცია, რაც მისთვის

ცნობილია. წლების განმავლობაში აღნიშნული შენობა იმყოფებოდა სავალალო მდგომარეობაში, განადგურების პირას, რომელიც პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, გია გოგუაძის ძალისხმევით გარემონტდა და მასში სავარაუდოდ იგეგმებოდა ფერმერთა სახლის გახსნა. ამ ხნის განმავლობაში შენობა - ნაგებობას მოვლა და პატრონობა არ მოჰკლებია. ამჟამად კი, მუნიციპალიტეტის მხრიდან არის გარკვეული მოსაზრება შენობის გაქირავებასთან დაკავშირებით. დეპუტატი დაინტერესდა, რომ თუ აღნიშნული ფართი იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, მაშინ მას როგორ ჩაუტარდა ამ პიროვნებების მიერ ასეთი დონის სარემონტო სამუშაოები, რატომ არის მის ირგვლივ ამდენი გაუგებრობა. მისი აზრით, უნდა გაირკვეს ყველაფერი და დაადგინონ სიმართლის გზას. საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა გაითვალისწინონ მუნიციპალიტეტის ინტერესები, მაგრამ შუხუთის მოსახლეობა არ უნდა დარჩეს განაწყენებული.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ია ჩხაიძის თქმით, სრულიად ეთანხმება დეპუტატ აკაკი იმნაიშვილს, რადგან საკითხი საკმაოდ დელიკატურია. ის შეძლებისდაგვარად გაეცნო საქმის მასალებს. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში იყო შემოსული მოქალაქის განცხადება, რომელსაც ორი თვის მანძილზე არ გაეცა პასუხი. ნებისმიერ განცხადებას აქვს ვადა, რომლის განმავლობაში უნდა ეცნობოს მოქალაქეს თანხმობის ან უარის შემთხვევაში. დეპუტატი დაინტერესდა, რატომ დარჩა აღნიშნული საკითხი ამ დრომდე პასუხგაუცემელი. ოქტომბერში, ორი თვის შემდეგ, შემოვიდა მეორე მოქალაქის განცხადება. დეპუტატის თქმით, პირველად შემოსულ განცხადებაზე მოქალაქეს ეთქვა კატეგორიული უარი, რადგან ის ითხოვდა ქონების პირდაპირი წესით განკარგვას, ახლა კი საუბარია მეორე განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. როგორც დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, შენობა იყო განადგურებული და მიწასთან გასწორებული, რომელიც გარემონტდა კონკრეტული ადამიანების მიერ. შესაბამისად მათ გაწიეს გარკვეული ხარჯი, ანუ მუნიციპალური ხარჯებით არ ჩატარებულა სარემონტო სამუშაოები. დეპუტატის აზრით, არსებულ სიტუაციაში სამართლებრივად უნდა იქნას დაცული მუნიციპალიტეტის ნებისმიერი მოქალაქის უფლებები და არ უნდა ქონდეს მიკერძოებას ადგილი. ამასთან, საჭიროა მოხდეს შუხუთის მოსახლეობასთან შეხვედრა, რათა გაირკვეს მათი პოზიცია, რადგან შენობა იყო სოფლის საკუთრება. ცნობილი ხდება, რომ შემდეგ ფართი გადაეცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. როგორც ირკვევა, შენობაში იგეგმებოდა ფერმერთა სახლის გახსნა. ეს ნაგებობა სოფლის სახე გახლავთ, რადგან აქ იმართება სხვადასხვა ღონისძიებები და ხდება ჩამოსული საპატიო სტუმრების მიღება. დეპუტატი მაღლიერია ამ მოქალაქეების, რომელთაც ასეთი კარგი საქმე გააკეთეს. ისინი წლების განმავლობაში უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ ამ ქონებას მაშინ, როცა მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი შენობა - ნაგებობა განადგურდა და მიწასთან გასწორდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, საკითხი შესასწავლია სიღრმისეულად. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ინტერესები პრიორიტეტულია, ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა შემოვიდეს რაც შეიძლება მეტი თანხა, რომ მუნიციპალიტეტმა ნახოს სარგებელი, მაგრამ ამავე დროს არ უნდა შეილახოს კერძო პირის ინტერესები, მით უმეტეს, ირკვევა, რომ შენობა სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის მიერ არ გარემონტებულა და ხარჯი გაწია კონკრეტულმა ადამიანებმა. ამიტომ ეს საკითხი უფრო საფუძვლიანადაა შესასწავლი: რა და როგორ იყო, რა ფორმით მოხდა შენობის გადმოცემა, რატომ გაწიეს მოქალაქეებმა ხარჯი და რატომ უნდა დაზარალებდნენ ისინი. ყველაზე უზენაესი არის ადამიანის უფლებების დაცვა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება კერძო პირებს. დეპუტატის თქმით, ასე ზერელედ კენჭიყრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას და ასევე გაუჭირდება სათანადო გადაწყვეტილების მიღება, რადგან საკითხი ბუნდოვანია. მან თხოვნით მიმართა

კოლეგებს გულდასმით მოუსმინონ მოქალაქეს, რომელიც ესწრება საკრებულოს სხდომას, რათა საბოლოოდ შეჯერებული, სამართლებრივი გადაწყვეტილება იქნას მიღებული.

დეპუტატმა, **ადამი ხუხუნაიშვილმა** აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება შპს „GL“-ის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც არის თხოვნა დეტალურად აღწეროს არსებული სიტუაცია, რადგან მათ სავარაუდოდ ქონდათ რაღაც საფუძველი, სახელმწიფოსგან გარკვეული ნება, რომ გაწიეს ხარჯი და გაარემონტეს აღნიშნული შენობა - ნაგებობა.

დეპუტატ, **დარეჯან ბურჭულაძის** თქმით, სრულიად ეთანხმება საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს. ამ შენობასთან დაკავშირებით ორ სუბიექტს აქვს რაღაც პრეტენზია. დეპუტატის თქმით, პირები, რომლებმაც გაარემონტეს ეს შენობა, არ არიან ის ადამიანები, რომ გამოსულიყვნენ სამართლებრივი ჩარჩოებიდან და ისე მოეკიდებინათ ნაგებობისთვის ხელი. თემა ეხება სადაო საქმეს. აქედან გამომდინარე, საკითხი მოითხოვს უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. პირადად ასეთ ბუნდოვან საკითხთან დაკავშირებით არ აპირებს ხმის მიცემას. საჭიროა გაირკვეს და დადგინდეს ყველა სუბიექტის ინტერესი, უნდა მოვიდეს მეორე მხარე და თქვას თავისი აზრი აღნიშნულთან მიმართებაში.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ საკითხი გულდასმითაა შესასწავლი, მაგრამ რადგან ეს სხდომა ამ მოწვევის საკრებულოსთვის სავარაუდოდ, ბოლო სხდომაა, გამოდის, საკითხი უნდა შეისწავლოს მომავალი მოწვევის საკრებულომ, რაც დროში გაიწელება. დღეისთვის შენობაში შესულია ორგანიზაცია და ფუნქციონირებს. დეპუტატისთვის ცნობილი იყო, რომელ წლებში და ვის მიერ გაკეთდა ეს შენობა, მაგრამ ნამდვილად არ ეგონა, თუ არ იმყოფებოდა კერძო საკუთრებაში. მედალს აქვს ორი მხარე: ამ ადამიანებს ვერავინ ვერ და არც დაუკარგავს გაკეთებულს, არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ვინმეს რამეს წაართმევენ, რადგან ეს ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. დაცული უნდა იქნას იმ პირების ინტერესები, ვინც გაწია ხარჯი. მაგრამ არის მეორე მხარეც: მართალია. მოქალაქეებმა გადაარჩინეს შენობა დანგრევას და განადგურებას, გაწიეს კაპიტალური ხარჯები, მაგრამ შენობა და მიწა ხომ სახელმწიფო საკუთრებაა. სიტუაცია სამართლებრივად უნდა დარეგულირდეს. გამოდის, ან მუნიციპალიტეტმა უნდა იჩივლოს, თუმცა საჩივარიც არაფერია, რადგან ქონება მთავრობის დადგენილების საფუძველზე გადმოეცა, ან მეორე მხარემ. დეპუტატის აზრით, იქნებ ჯობდეს, რომ მომავალი მოწვევის საკრებულომ იმსჯელოს და საბოლოოდ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება. ერთი განმცხადებელი ითხოვს ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემას, მეორე - აუქციონის წესით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგებელს აქვს უფლება ქონება გაასხვისოს აუქციონის წესით. აქედან გამომდინარე, ის მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ მოიქცეს აღნიშნულ ქონებასთან მიმართებაში. წესი კი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ შემთხვევაში სრულიად დაცულია.

კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რეგლამენტის შესაბამისად, საკუთარი განცხადების საფუძველზე საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლა ითხოვა შ.პ.ს. „GL“ -ის დამფუძნებელმა, **პავლე ორაგველიძემ**. მან აღნიშნა, რომ 2008 წლისთვის აღნიშნული შენობა განადგურდა და დაინგრა. ტერიტორია იქცა მღრღნელების და ქვეწარმავლების ბუდედ, ნაგვის და სიბინძურის კერად. სოფლის მოსახლეობა ითხოვდა შენობის დემონტაჟს და მის ადგილზე სტადიონის გაკეთებას. კონკრეტული

მოქალაქეების მიერ თხოვნით მიემართა მეპაიეებს შენობის და მასზე მიმაგრებული ტერიტორიის გადმოცემასთან დაკავშირებით. 2008 წლის მაისში შედგა სოფლის კრება, რომელსაც ესწრებოდა 200 ადამიანი. შესაბამისად, მათი ხელწერები წარდგენილ იქნა საჯარო რეესტრში. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სტანდარტებიდან გამომდინარე, სტადიონი ვერ ეტეოდა. ამასთან, ტერიტორია მდებარეობს ცენტრალური ავტომაგისტრალის გასწვრივ, რასაც შეიძლება ფატალური შედეგი მოყოლოდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პავლე ორაგველიძის და პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, გია გოგუაძის მიერ შეირჩა ოპტიმალური ტერიტორია და მათ საკუთარი ხარჯებით, სოფელ შუხუთის სკოლის ეზოში ააშენეს სტადიონი. სოფლის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ამ მოქალაქეებმა დაიწყეს სარემონტო სამუშაოების განხორციელება, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხებთან იყო დაკავშირებული და ამის დამადასტურებელი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია სახეზეა. გარდა ამისა, დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობაც.

პავლე ორაგველიძის განცხადებით, მათ შენობა არ გადაიფორმეს, რაც იმ პერიოდისთვის გარკვეული თანხის საფასურად უმოკლეს დროში შეიძლება განხორციელებულიყო. პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა, გია გოგუაძემ გამოიჩინა კეთილი ნება და აღდგენილი შენობა სოფელს დაუტოვა საკუთრებაში. არავის არ აქვს უფლება სოფელს წართვას ეს შენობა, მით უმეტეს, რომ მის კეთილმოსაწყობად მხოლოდ კონკრეტულმა მოქალაქეებმა დახარჯეს სოლიდური თანხა და მათ გარდა ერთი თეთრიც კი არავის არ გაუღია. შენობა აშენებულია 1961 წელს და იგი ვერანაირად ვერ მოვიდოდა დღევანდელ დღემდე იმ სახით, თუ არა სათანადო მოვლა - პატრონობა. შენობა იმდენად კეთილმოწყობილი და კომფორტულია, რომ სოფლის სახედ იქცა. მასში წლების მანძილზე მუდმივად ტარდებოდა ოფიციალური თუ სხვადასხვა ღონისძიებები, ხდებოდა ჩამოსული საპატიო სტუმრების მიღება. ამჟამად კი ვიღაცეებს გაუჩნდათ სურვილი და ინტერესი ხელში ჩაიგდონ შენობა, მაგრამ სოფელი მისი წართმევის უფლებას არავის არ მიცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირადად მოხსნის შენობას იმ სამშენებლო მასალას, რაზეც მუნიციპალიტეტი ვერ წარმოადგენს სათანადო საბუთს და დატოვებს ნაგებობას პირვანდელი სახით.

პავლე ორაგველიძემ 15 აგვისტოს განცხადებით მიმართა მუნიციპალიტეტს შენობის ქირით გადაცემასთან დაკავშირებით, რაზეც გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურიდან მიიღო თანხმობა, მაგრამ ეს პროცესი რატომღაც გაჭიანურდა. ამის შემდეგ შპს „ტოდინი“-ს ეცნობა, რომ ისინი უკანონოდ იმყოფებოდნენ შენობაში. ამ ფორმას მუნიციპალიტეტში ასათვისებელი აქვს დაახლოებით 200 მლნ ლარი, რამაც სავარაუდოდ, გამოიწვია რიგი პიროვნებების დაინტერესება. მისი დაჟინებული თხოვნის შედეგად იმყოფება ეს ფორმა სოფელ შუხუთში. მათ მიერ დასაქმდა 20 - მდე ადგილობრივი მაცხოვრებელი, მომავალში კიდევ 50 კაცის დასაქმება იყო გათვალისწინებული.

პავლე ორაგველიძის თქმით, ეს არის სოფელ შუხუთის ქონება, რომლის აღდგენასა და შენარჩუნებაში პირადად მისი შრომაც არის ჩადებული და არავის მიცემს მისი განიავების უფლებას. ის აპირებს შეიტანოს სარჩელი, რის საფუძველზე მოხდება აღნიშნული ქონების დაყადაღება. შენობასთან დაკავშირებით თავის დროზე პრეტენზია ქონდა გურიის ყოფილ გუბერნატორს, გიორგი ჩხაიძეს. სწორედ მის კუთვნილ საწარმოში დამზადდა კარები და შიდა ინვენტარი, რომელშიც გადახდილ იქნა 48 000 ლარი.

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ შენობასთან დაკავშირებით არ იქნება მიღებული სამართლიანი გადაწყვეტილება, მაშინ შპს „ტოდინი“-ს ოფისი გადავა ფოთის მუნიციპალიტეტში, რითაც ადგილობრივი ბიუჯეტი დაკარგავს სოლიდურ შემოსავალს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, ის ეთანხმება კოლეგებს და

პავლე ორაგველიძეს, რომ შენობის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოსაწყობად გაწეულია უზარმაზარი შრომა. აქ იმართებოდა როგორც სხვადასხვა ღონისძიებები, ასევე იღებდნენ ჩამოსულ საპატიო სტუმრებს. შენობა ალამაზებს არამართო სოფელს, არამედ მუნიციპალიტეტსაც. დეპუტატის აზრით, საკითხი მართლაც რომ სერიოზული მსჯელობის საგანია. საბოლოოდ მიღებული უნდა იქნას სამართლიანი გადაწყვეტილება, რათა არ დაიჩაგროს ის ადამიანები, ვინც შრომა და შესაბამისად, ხარჯი გაწია.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** კითხვით მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ომარ ჯანაძეს, იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ შპს „GL“-ს, რომელმაც გაარემონტა და წესრიგში მოიყვანა შენობა, მიეცეს უფლება გაუფორმოს ხელშეკრულება შპს „ტოდინ“-თან, იქნება თუ არა ეს გადაწყვეტილება საბოლოო და ექნება თუ არა მას რაიმე მნიშვნელობა, რათა დამთავრდეს ეს სადაო საკითხი და საჭირო არ დარჩეს საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს ჩარევა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვამის** აზრით, აღნიშნული საკითხი აქამდე იყო მოსაგვარებელი და ახლა არ უნდა ხდებოდეს მისი განხილვა. ის ეთანხმება კოლეგებს, რომ შენობის აღდგენისთვის ნამდვილად გაწეულია კოლოსალური შრომა და ამჟამად იგი ერთ - ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტში. მაგრამ, დეპუტატის თქმით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბრალი ნამდვილად არ არის, რომ დღეს საკითხის განხილვა ხდება ამ კუთხით. მაგრამ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად არ უნდა დაზარლდეს ადგილობრივი ბიუჯეტი. ამიტომ დეპუტატი ეთანხმება და მხარს უჭერს ქონების აუქციონის წესით გასხვისებას.

დეპუტატ, **დარეჯან ბურჭულაძის** განცხადებით, სრულიად ეთანხმება საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, დეპუტატი დაინტერესდა, რატომ არ იქნა განხილული მოქალაქის მიერ ორი თვის წინ შემოსული განცხადება და რატომ არ გაეცა მას შესაბამისი სამსახურების მიერ სათანადო პასუხი, ამჟამად კი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სასწრაფო რეჟიმში ხდება ერთი თვის წინ შემოტანილ განცხადებასთან დაკავშირებით მსჯელობა. პავლე ორაგველიძის მიერ ინფორმაციის მოწოდების შემდეგ, დეპუტატს დარჩა იმის განცდა, რომ ამ საქმის ირგვლივ არსებობს ვიღაცის ინტერესი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს საკითხი არ უნდა მივიდეს სასამართლომდე. სრულიად შესაძლებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს. უნდა მოხდეს შენობის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოსაწყობისთვის გაწეული ყველა სამუშაოების ხარჯების დაანგარიშება, რომლის გათვალისწინებით ან ერთი მხარე გამოისყიდის აღნიშნულ ქონებას ან მეორე. ამიტომ, კეთილი ნების არსებობის შემთხვევაში სრულიად მისაღებია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება და საკითხის დარეგულირება სასამართლოს ჩარევის გარეშე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მოქალაქეების მიერ გაწეულია სოლიდური ხარჯები, მაგრამ საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე გამგეობიდან შემოსულია საკითხი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული სოფელ შუხუთში მდებარე უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გაცემას. მან დეპუტატებს მიმართა თხოვნით, რომ მათი მხრიდან განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოხდეს კონკრეტულად წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ადგილი აქვს მსჯელობის სხვა კუთხით წარმართვას.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **ომარ ჯანაძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და მთავრობის დადგენილება არეგულირებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობით გაცემის წესს. ის, თავის მხრივ იზიარებს საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის და დეპუტატების პათოსს აღნიშულ საკითხთან მიმართებაში, რადგან ყველასთვის ცნობილია არსებული სიტუაცია. შენობის და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებასა და კეთილმოწყობაზე მუნიციპალური ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დახარჯულა, მაგრამ ქონება საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მუნიციპალური საკუთრებაა. ამას გარდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, დავით გიორგაძის ბრძანების საფუძველზე აღნიშნული შენობა - ნაგებობა მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთთან ერთად გადმოეცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, როგორც დამატებითი ქონება. მისი თქმით, უდიდესი ძალისხმევა ჭირდებათ, რათა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტს გადმოეცეს დამწვარი ჭადრაკის სახლის სანაცვლოდ ალტერნატიული ფართი, რაზეც დეპუტატი, ადამ ხუხუნაიშვილი და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეც დაეთანხმნენ. აქედან გამომდინარე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის აზრით, ხელისუფლება მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნის და წერილის წარდგენის გარეშე ნამდვილად არ გადმოცემდა მას აღნიშნულ ქონებას. პავლე ორაგველიძე ფაქტიურად მოტყუებული დარჩა, რადგან მაშინ ვერ ექნებოდა წვდომა ამასთან დაკავშირებით.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **ომარ ჯანაძემ** აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრება წარმოდგენილია პროექტში. არსებობს ქონების განკარგვის ორი წესი: პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემა და აუქციონზე გატანა. საკითხი შემოსულია პროექტის სახით, რომელსაც დეპუტატები საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე ან დაეთანხმებიან ან არა, ასევე დასაშვებია ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღებაც.

დეპუტატ, **თეიმურაზ ალექსაიას** აზრით, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **ომარ ჯანაძემ** ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საკრებულოს სხდომას, მაგრამ დეპუტატის თქმით, ირდევვა მოქალაქის უფლებები, რადგან შესაძლებელია აუქციონის შედეგად ეს ქონება სრულიად გარეშე პირის კუთვნილება გახდეს. ამიტომ, პირადად ის, როგორც უმრავლესობის წევრი, მხარს არ დაუჭერს ობიექტის აუქციონზე გატანას, თუ პროექტში არ იქნა გათვალისწინებული შპს „GL” -თვის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემა, რადგან კონკრეტულმა მოქალაქეებმა გაწიეს შრომა და ხარჯი.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** თქმით, დასაშვებია, რომ მეორე მხარემ, რომელსაც აქვს პრეტენზია აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით, აუქციონის ჩატარების შემთხვევაში წააგოს იგი, რის შემდეგაც არ არის გამორიცხული, რომ შენობას მოხსნან მათ მიერ შეძენილი სამშენებლო მასალა

თუ ინვენტარი. დეპუტატი დაინტერესდა, ვინ დარჩება ამ შემთხვევაში მოგებული. რომ არა ამ ადამიანების მიერ გაწეული საკმაოდ დიდი შრომა და ხარჯი, მუნიციპალიტეტს არ ექნებოდა ასეთი კეთილმოწყობილი შენობა, მაშინ როცა, ბევრი შენობა - ნაგებობა უპატრონობისა და მოუვლელობის შედეგად განადგურდა და დაინგრა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს მოუწევს კანონის წინაშე პასუხისგება. იმ დროისთვის, როცა ამ შენობას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, ირიცხებოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე. მუნიციპალიტეტს გადმოეცა საკუთრებაში იმ სახით, რა მდგომარეობაშიც ახლა იმყოფება. აქედან გამომდინარე, ვერ მოხდება კანონის წინაშე ამ მოქალაქის ინტერესების გათვალისწინება და მას მოუწევს სასამართლო პროცესი.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ საკითხი არის ძალიან პრობლემატური. მისი აზრით, კითხვის ნიშნებს ბადებს ის, თუ რატომ შემოვიდა მუნიციპალიტეტის საკრებულოში აღნიშნული პროექტი და თან ასეთი სახით. დეპუტატის თქმით, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, რომელმაც წარმოადგინა საკითხი უძრავი ქონების აუქციონზე გატანასთან დაკავშირებით, აცხადებს, რომ არსებობს ქონების გადაცემის ორი გზა: პირდაპირი განკარგვის წესით და აუქციონის ჩატარება. თუ პირდაპირი განკარგვის წესით ქონების გადაცემა იქნებოდა მიკერძოება, მაშინ უნდა აიხსნას, რატომ ექნება ადგილი მიკერძოებას, ხოლო აუქციონის წესით სარგებლობის შემთხვევაში რა უპირატესობით უნდა ისარგებლონ იმ ადამიანებმა, რომლებმაც გარკვეული შრომა და ხარჯი გაწიეს. დეპუტატის აზრით, დროა, რომ საქართველოში მიეცეს ქართველებს განვითარების საშუალება და ყოველთვის პრიორიტეტული არ უნდა იყოს უცხოური ფირმები.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** მიმართა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, როცა საუბარია სარემონტო ხარჯებზე, არ შეიძლება აუნაზღაურდეს ამ ადამიანებს მხოლოდ მათ მიერ სარემონტო სამუშაოების დროს გაწეული ხარჯები და ამით დამთავრდეს ყველაფერი. ეს არის სწორედ მიკერძოება და გარკვეული პირების ამ საქმის უკან დგომა. დეპუტატის აზრით, ნამდვილად არ არის ეს საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასაწყვეტი.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ საჭიროა სიტუაციას რეალურად მიუდგინენ, ამიტომ მისი მოსაზრებით, აუქციონის წესით უძრავი ქონების გადაცემას უნდა ეთქვას უარი. ამის შემდეგ კონკრეტული მოქალაქე მიმართავს სასამართლოს და ექნება საშუალება რომ პროცესი მოიგოს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება დეპუტატს, დავით ჩხარტიშვილს. ყველა ერთი აზრისაა, რომ კონკრეტულმა მოქალაქეებმა საკმაოდ დიდი შრომა და ხარჯი გაწიეს. მისი აზრით, არ შეიძლება გადაწყვეტილების ასე ნაჩქარევად მიღება, რადგან საკითხთან დაკავშირებით საჭიროა სერიოზული მუშაობა. აქედან გამომდინარე, დეპუტატი კენჭისყრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

პავლე ორაგველიძე დაინტერესდა, როგორ იყო აღნიშნული შენობა სახელმწიფო საკუთრებაში, როცა ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი მის სახელზეა რეგისტრირებული, შესაბამისად, კომუნალურ გადასახადებსაც ის იხდის.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ნამდვილად არ არის წინააღმდეგი, რათა შენობა გადაეცეს საკუთრებაში პავლე ორაგველიძეს, მაგრამ მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი დგანან კანონის წინაშე. აღნიშნული ქონება გატანილი უნდა იქნას აუციონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარალდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. აქ საუბარი არ არის რომელიმე მხარისთვის ქონების გადაცემაზე. თავის დროზე პავლე ორაგველიძეს უნდა შემოეტანა წერილი, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა მის მიერ გადახდილი თანხის რაოდენობა. მან თხოვნით, მიმართა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს, სამართლებრივი განმარტება გაეკეთებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ როგორც სოფელ შუხუთის დეპუტატი, ყველაზე მეტად ხედავდა პავლე ორაგველიძის მიერ გაწეულ შრომას და იმასაც, თუ რა ხდებოდა შემდეგ. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი დასაქმებულია, ბევრი კიდევ ელოდება დასაქმებას. შენობა მართლაც რომ შესანიშნავია და ბევრი სარგებელი მოუტანა სოფელს. დეპუტატის აზრით, იქნებ მოხერხდეს ამ შენობის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემა, რადგან აუქციონის ჩატარების შემთხვევაში იგი შეიძლება საერთოდ ვერ მოიგოს ამ პიროვნებამ.

დეპუტატმა, **ამირან ქანთარია** გამოთქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი პროექტი დადგეს კენჭისყრაზე, მაგრამ დეპუტატებმა არ მისცენ ხმა.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის, **შოთა ჩაგუნავას** თქმით, ვერ დაეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ საკითხი არის მოუმზადებელი. მისი აზრით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** და გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ომარ ჯანაძემ რეალურად სწორად და ქრონოლოგიურად განმარტეს საკითხი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ აღნიშნული შენობა - ნაგებობა მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთთან ერთად ყოველგვარი ვალდებულების გარეშე იმ მოცემულობით, როგორი სახითაც ამჟამად იმყოფება, გადმოეცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით, რასაც ადასტურებს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი. ამასთან დაკავშირებით ასევე არსებობს სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ბრძანება, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ აქტს.

როგორც ცნობილია, არსებობს ქონების სარგებლობით გადაცემის ორი წესი: პირდაპირი განკარგვის წესი, რომელსაც ესაჭიროება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა და აუქციონის წესი. იგი ცხადდება ელექტრონულად და მასში მონაწილეობის მიღების უფლება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** მიმართა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს, აქვს თუ არა მას რაიმე დოკუმენტი, რომელიც ასახავს იმ მიზნობრივ თვალსაზრისს, რის გათვალისწინებითაც მუნიციპალიტეტს გადმოეცა საკუთრებაში აღნიშნული შენობა, რადგან დეპუტატი წააწყდა ძალიან დიდ წინააღმდეგობას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამწვარი ჭადრაკის სახლის სანაცვლოდ ალტერნატიული ფართის - ე.წ. „მეთესლეობის“ შენობის გადმოცემასთან დაკავშირებით. ამჟამად საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

დეპუტატი ადამ ხუხუნაიშვილი და გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ომარ ჯანაძე ჩართულები არიან მეორე ალტერნატიული ფართის გადმოცემასთან დაკავშირებულ პროცესებში. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ გადაგზავნილ იქნა პროექტი, ფინანსური უზრუნველყოფა, ვადა, რომლის განმავლობაში განხორციელდება პროექტი და რაც მთავარია - მიზნობრიობა, მაგრამ შენობა ჯერ კიდევ არ არის გადმოცემული. დეპუტატის თქმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ არ იქნებოდა გადმოცემული ქონება, თუ მუნიციპალიტეტი არ გადაუგზავნიდა მიმართვას მიზნობრივი თვალსაზრისით რისთვის ესაჭიროებოდა სოფელ შუხუთში მდებარე შენობა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ მოხდა აღნიშნული ფართის გადმოცემა, თუ არსებობს რაიმე წერილი ამასთან დაკავშირებით და აქვს თუ არა შოთა ჩაგუნავას, როგორც იურისტს ეს საკითხი სათანადოდ შესწავლილი.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის, **შოთა ჩაგუნავას** განმარტებით ბრძანებაში ცალსახად წერია, რომ ქონება მუნიციპალიტეტს გადაეცა დამატებითი ქონების სახით, რომლის მიზნობრიობას არეგულირებს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, ასევე არსებობდა კანონი მუნიციპალური ქონების შესახებ. თვითონ დამატებითი ქონება კი განმარტებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ საკრებულოს სხდომაზე გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.

მომხრე 14 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 დეპუტატი (დ.ბურჭულაძე, ნ.მურვანიძე, ა. ხუხუნაიშვილი, ა. იმნაიშვილი); კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1 დეპუტატმა(ჯ.ბლაგიძე);

მიღებულ იქნა განკარგულება N79 (27.10.2017)

სხვადასხვა:

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** მიულოცა საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ხელაძეს

შვილიშვილის შემენა, რასაც დეპუტატები და დარბაზში მყოფნიც შეუერთდნენ. მან ასევე მომავალი მოწვევის დეპუტატებს უსურვა საქმიანობაში წარმატებები მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. ამასთან, მადლობა გადაუხადა ახლად არჩეულ მერს, ალექსანდრე სარიშვილს, რომელმაც სუფსის მოსახლეობასთან შეხვედრების დროს დააანონსა სუფსაში სამი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. ყოველივე ამის შემდეგ, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ყურადღებას საჭიროებს სუფსის კულტურის სახლი, რომელიც უნდა გადაიხუროს, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ მას არაერთხელ დაუყენებია საკითხი. ასევე მისახედია და სარეაბილიტაციო სამუშაოები ესაჭიროება ამბულატორიას; გარდა ამისა, დააყენა საკითხი იუსტიციის სახლთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიც წარმატებით განხორციელდება.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ მას ტელეფონით დაუკავშირდა აკეთის მაცხოვრებელი ინგა მათითაიშვილი, რომელსაც ახლადარჩეულმა მერმა და სოფლის დეპუტატმა უთხრეს, რომ დღეს აკეთში ავლენ გეოლოგები და ნახავენ მის სახლს. მოქალაქემ დაიქირავა ტაქსი და ავიდა სოფელში, მაგრამ გზაში დაურეკეს და უთხრეს, რომ გეოლოგები ვერ მივლენ, რადგან ამას აქვს პროცედურები და უნდა ყოფილიყო განცხადება შეტანილი. ინგა მათითაიშვილის თქმით, მას განცხადება დაწერილი აქვს 10 წლის წინ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მას შეხვდა სოფელ აკეთის მაცხოვრებელი ინგა მათითაიშვილი, რომელსაც მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღეს ან ხვალ სოფელში ავლენ გეოლოგები და დაათვალიერებენ იმ სახლებს, რომლებზეც შესულია განაცხადი. მისი თქმით, არავინ მოუტყუებია, რადგან გეოლოგები ახლაც სოფელ აკეთში იმყოფებიან, ხოლო სხვა დანარჩენზე მას არანაირი კომპეტენცია არ ქონდა, რის შემდეგაც მიმართა დეპუტატ დარეჯან ბურჭულაძეს, რომ ნუ აპელირებს ადამიანებით.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

სხდომის თავმჯდომარე
საკრებულოს ბიურო

